

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია

შუშანიკის წამება წერილები

წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ნ. მრევლიშვილმა,
ს. გულიაშვილმა, თ. ჯიქურაშვილმა, ლ. ვაშაყმაძემ,
თ. ბერუაშვილმა და მ. ალავერდაშვილმა

ნაწილი II

I₃



საპარტოვალო უნივერსიტეტის
ბ ა მ ო მ ხ ე მ ლ ო ბ ა

Georgian Original Hagiography

The Martyrdom of Shushanik Letters

The book was prepared for publication by N. Mrevlishvili, S.
Guliashvili, T. Jikurashvili, L. Vashakmadze, T. Beruashvili
and M. Alaverdashvili

Part II

I₃

შუშანიკის წამება – წერილები
The Martyrdom of Shushanik – Letters

პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის
სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში

პროექტის ხელმძღვანელი და გამოცემის რედაქტორი – **ნ. მრევლიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი – **ნ. სუარიძე**

სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელი – **მ. სანაძე**

სარედაქციო საბჭო:

ნ. მრევლიშვილი

ს. გულიაშვილი

თ. ჯიქურაშვილი

ყველა უფლება დაცულია.

© საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2025

© The University of Georgia Publishing House 2025

საქართველოს უნივერსიტეტი, თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის
ინსტიტუტი

The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

თბილისი 0171, მერაბ კოსტავას ქუჩა #77ა

ug@ug.edu.ge; www.ug.edu.ge

ISBN: 978-9941-9898-5-8

აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს სერიის – ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია – I ტომის მესამე ნაწილის გაგრძელებას (1₃). წიგნში შევეცადეთ შეძლებისდაგვარად თავი მოგვეყარა ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებული იმ ნაშრომებისათვის, რომლებიც ეხება *შუშანიკის წამებას*, დამოუკიდებლად იმისა, ვიზიარებთ თუ არა ნაშრომის ავტორის პოზიციას. წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, ცხადია, ყველა ნაშრომის პუბლიკაცია ვერ ხერხდება. შევეცადეთ ვრცელი ნაშრომებიდან წარმოგვედგინა მასალა იმგვარად, რომ მკითხველს სრული წარმოდგენა შექმნოდა *შუშანიკის წამების* კვლევასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემათიკაზე. ამას გარდა, დაინტერესებული მკითხველისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გაგვხადა ახალი სამეცნიერო კვლევები თუ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული სტატიები. ავტორთა სტილი დაცულია, ვასწორებთ მხოლოდ მცირე კორექტურულ შეცდომებს, ან იმგვარ პუნქტუაციურ ხარვეზებს, რომლებიც განაპირობებს აზრობრივ ბუნდოვანებას და ვაწესრიგებთ დამოწმებული ლიტერატურის ნუსხებს. პროექტი განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ნ. მრევლიშვილი, ს. გულიაშვილი, თ. ჯიქურაშვილი, ლ. ვაშაყმაძე, თ. ბერუაშვილი და მ. ალავერდაშვილი. გამოცემის მომზადებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ნ. ჯანგულაშვილმა და გ. ტაბატაძემ.

სარჩევი

დარეჯან მენაბდე

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა 11

შერმადინ ონიანი

„შუშანიკის მარტვილობის“ თავდაპირველი შედგენილობა 26

ია გრიგალაშვილი

„წმიდა შუშანიკის წამების“ დასაწყისი 41

გოჩა კუჭუხიძე

„წმიდა შუშანიკის მარტვილობა“ და ქართული მწერლობის დასაწყისის პრობლემა 52

დავით გაგოშიძე

აღჯაყალა-გაგის ციხე – ცურტავი? 71

ქეთევან ქუთათელაძე

სამშვილდისა და გაჩიან-ცურტავის იდენტურობის საკითხისათვის ქართული და სომხური წყაროების მონაცემებით 85

თამარ მაგრაქველიძე

ბიბლიის ენისა და სტილის გავლენა ქართულ ორიგინალურ მწერლობაზე 115

ივანე იმნაიშვილი

„შუშანიკის წამების“ ენა 127

თინათინ ჯიქურაშვილი

შუშანიკის წამების ენობრივი თავისებურებანი 153

ციალა ქურციკიძე

„შუშანიკის წამების“ ტექსტის ზოგიერთი საკითხისათვის „განჩინება“ სიტყვის მნიშვნელობისათვის 166

ნანა მრევლიშვილი „წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“ თუ „წმიდანი იგი ნაწილნი მოწამეთანი“	179
ნათია ჯანგულაშვილი „შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის („ერთგული“ / „გუელი“ / „გული“)	192
გურამ ბედოშვილი „შუშანიკის წამების“ ერთი სადავო ადგილის გაგებისათვის	203
რევაზ ბარამიძე იაკობ ცურტაველის ლექსიკის გაგებისათვის	211
თინათინ ჭიქურაშვილი „დედათა ბუნებად იწრო არს“	220
ნანა მრევლიშვილი „შუშანიკის წამების“ ერთი კონტექსტის დაზუსტებისათვის („კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრული იყო...“)	228
როსტომ ჩხეიძე ატროშანი თუ არტოშანი	237
ბეჟან კილანავა არტოშანი თუ ატროშანი? (შუშანიკის წამების ტექსტისთვის)	239
ჰემალ აფციაური იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთი საკითხისათვის „შუშანიკის წამებაში“	244
რევაზ სირაძე იაკობ ცურტაველის სახისმეტყველება	253
მანანა გიგინეიშვილი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“	281

თამაზ ჭილაძე იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“	300
სარგის ცაიშვილი სიტყვის უკვდავება (იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“)	333
ნესტან სულავა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ საღვთისმეტყველო და მხატვრული სისტემის ურთიერთმიმართებისათვის	357
ხვთისო ზარიძე იაკობ ცურტაველის მხატვრული ოსტატობის ერთი საკითხი	375
გრიგერ ფარულავა იაკობ ცურტაველის პოეტური ხელოვნება	380
ეკა ჩიკვაძე საღვთისმსახურო ტრადიციები და ტერმინოლოგია „შუშანიკის წამებაში“	392
ლაურა გრიგოლაშვილი სძალი ქრისტესი	415
საბა მეტრეველი ნების თავისუფლების პრობლემა „წმიდა შუშანიკის წამების“ მიხედვით	424
ედიშერ ჭელიძე ტერმინ „ქნარის“ სახისმეტყველებითი განმარტება საეკლესიო მწერლობაში	436
ვაჟა გვახარია მარტვილობა შუშანიკისად და ქართული ჰიმნოგრაფიის საკითხები	444
დარეჯან მენაბდე „შუშანიკის წამება“ უცხოურ ენებზე	459

ვახტანგ როდონაია ვარიაციები „შუშანიკის წამების“ თემაზე	487
მანანა ახმეტელი იმპროვიზაციები შუშანიკის მარტვილობის თემაზე	502
მანანა ახმეტელი „...თეატრის აბსოლუტურობა და ავტონომიურობა უნდა ვალიაროთ...“	531
სახელთა საძიებელი	545

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა*

შუშანიკის მოწამებრივმა აღსასრულმა, მისმა თავგანწირვამ ქართველთა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საეკლესიო-სარწმუნოებრივი სიმტკიცისათვის სათანადო გამოძახილი პოვა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი აისახა როგორც მხატვრულ ლიტერატურაში (იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“), ისე საისტორიო მწერლობაში.

როდესაც ქართულ საისტორიო მწერლობაში ვეძებთ ცნობებს შუშანიკის წამების შესახებ, პირველ რიგში უნდა დავიმოწმოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.), რომელიც, მართალია, აგიოგრაფიული ძეგლია, მაგრამ პირველ ნაწილში ისე უხვ საისტორიო ცნობებს გვაწვდის, რომ ზოგჯერ ამ ნაწილს „უძველეს სამოქალაქო-საისტორიო ნაწარმოებად“ მიიჩნევენ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს მათიანეს“ უწოდებენ¹.

შუშანიკის წამებაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი წერს: „მეფობდა ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი. და მისა ზევე ვარსქენ პიტიახში იყო და შუშანიკ იწამა ცურტავს. და მისა შემდგომად კათალიკოზი იყო სამოველ და მერმე სიმონ-პეტრე“.²

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, შუშანიკის წამებას ადგილი ჰქონდა ასურელ მოღვაწეთა მოსვლის შემდგომ ხანაში, ე. ი. VI საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად ბაკურის მეფობის დროს.

* დაბეჭდილია: *შუშანიკის წამება*. (1978). საიუბილეო კრებული, გამოკვლევები და წერილები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 103-118.

1 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), მეორე-მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 103-107. იხ. აგრეთვე მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966, გვ. 8-9, 118-132.

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, ლ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, ნ. გ ო გ უ ა ძ ე მ, ლ. ქ ა ჯ ა ი ა მ, ც. ქ შ ო რ ც ი კ ი ძ ე მ, ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ მ ა და ც. ჯ ლ ა მ ა ი ა მ ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964, გვ. 94. დამოწმებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქციის ჩვენება. ჭელიშური ვარსქენ პიტიახში და სამოელ და სიმონ-პეტრე კათალიკოსები არ იხსენიებიან (ი ქ ვ ე).

ცნობა ვარსკენ ბიტიახშის მიერ შუშანიკის ცურტავში წამების შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს შეეძლო აელო იაკობ ცურტაველის თხზულებიდან; რაც შეეხება მეფის სახელს. იგი მას „შუშანიკის წამებაში“ ვერ იბოვიდა. როგორც ცნობილია, „შუშანიკის წამებაში“ ქართველთა მეფე არ იხსენიება და მხოლოდ სხვა წყაროების საშუალებით მოხერხდა დადგენა, თუ ვინ მეფობდა ქართლში იმ პერიოდში. როდესაც ვარსკენის ძალმომრეობამ იმსხვერპლა შუშანიკი.

ასე რომ, ბაკურ მეფის სახელი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორმა რომელიღაც, ჩვენთვის უცნობი, სხვა წყაროდან დაიმოწმა (განსხვავებული ცნობა აქვს მას ქართლის კათალიკოსზეც).¹ ამასთანავე, მან ქრონოლოგიური შეცდომა დაუშვა და V საუკუნის ფაქტი გვიან ხანაში გადმოიტანა.

შედარებით ვრცელი თხრობა შუშანიკისა და ვარსკენის შესახებ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ჯუანშერის (XI ს.) წიგნში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.

მასში აღნიშნულია, რომ ასურელ მოღვაწეთა მოსვლის შემდგომ ხანაში, როდესაც ქართლში მეფობდა „მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა“ ბაკური და კათალიკოსად იყო მაკარი, ხოლო სპარსეთში მეფობდა ურმიზდი, „იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასკენ. და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი, რომელსა ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანისი. ხოლო ამას ვასკენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიქცევა ცეცხლის-მსახურებად: წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა. და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლის-მსახურ. ხოლო სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა. ვითარ მოვიდა და ცნა ცოლმან მისმან შუშანიკ ქმრისა მისისაგან დატეგება ქრისტეს სჯულისა, არღარა ერიდა იგი ცოლებად. და დაივიწყა სიყუარული ქმრისა თვისისა, და ყოვლითა გულითა შეუდგა იგი ქრისტესა აღსრულებად მცნებათა მისთა.

მაშინ ვასკენ შეუდგა მრავალლონედ, ბირველად ლიქნითა და ვედრებითა, და ნიჭისა მიცემითა; შემდგომად შეაგდო სატანჯველთა შინა დიდთა, რომელ სიგრძისაგან ვერ დავწერენ ღუაწლნი წმიდისა შუშანიკისნი. და მოკლა იგი ქმარმან მისმან ვასკენ, ერისთავმან რანისამან.

მაშინ ბაკურ, მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველთა ერისთავთა მისთა, და შემოკრიბნა. ლაშქარნი ფარულად, და წარემართა ვასკენს

¹ ჩვენთვის გადაჭრით ძნელია თქმა, თუ რა წყარო ჰქონდა ხელთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს. ნ. ჯანაშიას აზრით, მას ხელთ ჰქონდა „შუშანიკის წამების“ განსხვავებული რედაქცია (ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა , შუშანიკის წამების ამბავი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, თსუ შრომები, 165 (1975), გვ. 94).

ზედა პარავით. რამეთუ ვასქენ ველსა გარე დგა კიდესა მტკურისასა, სადა მიერთვის მდინარე ანაკერტისა მტკუარსა, დაესხა და შეიბჟრა ვასქენ. დაჭრეს წურილად და ასონი მისნი დამოჰკიდეს ხესა. ხოლო გუამი წმიდისა შუშანიკისი წარმოიღეს დიდითა პატივითა, და დაფლეს ცორტავს¹.

როგორც ჩანს, ჯუანშერმა დეტალურად იცოდა შუშანიკის თავგადასავალი, კერძოდ, მისი წამების ისტორია, მაგრამ მრავალსიტყვაობას ერიდებოდა და მასალა რამდენადმე შეკუმშული სახით წარმოადგინა. მიუხედავად ამისა, დამოწმებული ნაწყვეტი არაერთ ცნობას გვაწვდის შუშანიკისა და ვარსქენის შესახებ. ზოგიერთ მათგანს ზემოდასახელებულ წყაროებშიც ვხვდებით, ზოგის წარმომავლობა კი გაურკვეველია. სახელდობრ, ზოგადი ცნობები ვარსქენსა და შუშანიკზე, ვარსქენის სპარსეთს გამგზავრებასა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებაზე, ქმრის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების ღალატის გამო შუშანიკის აღშფოთებასა და განდგომაზე. დაბოლოს, მის წამებასა და გარდაცვალებაზე ჯუანშერს შეეძლო აეღო იაკობ ცურტაველის თხზულებიდან; ცნობები შუშანიკის VI საუკუნის მეორე ნახევარში, – ბაკურ მეფისა და კათალიკოს მაკარის დროს, – წამების შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოციტირებული სიტყვების გარდათქმას წარმოადგენს.² ამასთანავე, ჯუანშერი გვაწვდის ისეთ ცნობებსაც, რომელთაც იაკობისეულ „შუშანიკის წამებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვერ ვხვდებით. ასეთია, მაგალითად, ცნობები შუშანიკის სპარსთა მეფის ურმიზდის (ჰორმიზდ IV, 579-590) დროს წამებაზე, ვარსქენის რანის ერისთავად დანიშვნაზე, ქართველი მეფის მიერ ვარსქენის სიკვდილით დასჯაზე და ა. შ. საგულისხმოა, რომ ჯუანშერი დუმს ისეთ საკითხებზე, რომლებზეც მას იაკობ ცურტაველის თხზულებიდან კონკრეტული ცნობების მიღება შეეძლო (მაგალითად, მან თითქოს არც კი იცის, რომ ვარსქენი არაშუშან შვილია, რომ ვარდანი სომეხი სპასპეტია და სხვ.).

იაკობ ცურტაველისა და ჯუანშერის ცნობები შუშანიკის წამების შესახებ საკმაოდ განსხვავებულია, იმდენად განსხვავებული, რომ მკვლევართ აფიქრებინებს არსებობას „შუშანიკის წამების“ სხვა ტექსტისა, სხვა თხზულებისა, რომლითაც სარგებლობდა ჯუანშერი. ამან ათქმევინა ნ. ჯანაშიას, რომ „განსხვავებანი იმდენად ბევრია და იმდენად არსებითი, რომ ჩვენ წინაა უფრო ორი სხვადასხვა თხზულება, ვიდრე ორი რედაქცია. განსხვავებანი

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, თბ., 1955, გვ. 216.

2 ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი , მარტვლობაჲ შუშანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ , თბ., 1938, გვ. 012.

ჯუანშერისა და იაკობის ცნობათა შორის ისეთი ხასიათისაა, რომ, საფიქრებელია, ჯუანშერი საერთოდ არ იცნობდა იაკობის თხზულებას⁴¹.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჯუანშერის ის ცნობები, რომელთაც მის წინამორბედთა (იაკობ ცურტაველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი) ნაწერებში ვერ ვხვდებით.

მართალია, ჯუანშერის თხზულება არაერთ შეცდომას შეიცავს, მისი თხრობა დამძიმებულია ანაქრონიზმებით და არარეალური ამბებით, „ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმგვარი დაუჯერებელი ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“⁴², მაგრამ, ამასთანავე, „მასში შემონახულია არაერთი უძველესი და უძვირფასესი ცნობა“⁴³. ამდენად ჯუანშერის ცნობათა ავკარგიანობის გარკვევა აუცილებელია, მაგრამ ჯერ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის სხვა წარმომადგენელთა ცნობები დავიმოწმოთ.

ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) ცნობილ საისტორიო თხზულებაში, კერძოდ, მის პირველ ნაწილში, რომელშიც საქართველოს ძველი ისტორიაა გადმოცემული, მოხსენიებულია შუშანიკის წამება და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტები. ვახუშტი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ჯუანშერის ცნობებს და მასავით გვაუწყებს, რომ ბაკურის მეფობის უამს „იყო სომხითს მთავარი სახელით ვასქენ. ესე წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, უარჱყო ქრისტე და იქმნა ცეცხლის-მსახურ; ხოლო სპარსთა მეფემან მისცა ერისთობა რანისა და წარმოგზავნა. ამას ვასქენს ჰყვა ცოლი შუშანიკ და აიძულებდა დატევებად ქრისტესა, არამედ შუშანიკ არა ინება და მან მოკლა იგი ტანჯვითა ფიცხელითა. მცნობმან მეფემან ბაკურ შეკრიბა სპათვის და წარვიდა უგრძნეულად; ხოლო ვასქენ იდგა ველსა ზედა კიდესა მტკურისასა, სადა ერთვის მდინარე ანაკერტისა. მუნ დაესხა ბაკურ მეფე, შეიბყრა ვასქენ და დაჭერილი მოჰკიდა ძელსა: ხოლო გუამი შუშანიკისა წარმოიღო და დადვა ცორტავს“⁴⁴.

1 ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა , შუშანიკის წამების ამბავი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, თსუ შრომები, 165 (1975), გვ. 99.

2 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 187.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 90.

4 ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 118. ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ ავტოგრაფული ნუსხის არშიაზე (ი ქ ვ ე , გვ. 120, შენ. 2) შუშანიკის შესახებ გვხვდება კიდევ ერთი ცნობა, რომელიც არსენ საფარელის (IX ს.) ტრაქტატიდან მომდინარეობს (ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა , არსენი საფარელის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისას“ ერთი ადგილის გაგებისათვის, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის

ვახუშტის დამოკიდებულება ძველი ქართული საისტორიო წყაროებისადმი კარგადაა ცნობილი. შ. მესხიას აზრით, საქართველოს ძველი ისტორიის მოთხრობისათვის ვახუშტი იყენებდა არა მარტო საისტორიო ხასიათის თხზულებებს, არამედ სახელმწიფოებრივი სამართლის ძეგლებს, გუჯრებს, ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებს და ა.შ. ამ წყაროებიდან ამოღებული ცნობებით არა მარტო ავსებდა „ქართლის ცხოვრების“ ნაკლს, არამედ ზოგჯერ ასწორებდა კიდევ მემატრიანეთა შეცდომებს¹.

როგორც ვნახეთ, შუშანიკის წამების მოხსენიებისას ვახუშტი სხვაგვარად იქცევა; იგი არაფერს უმატებს ჯუანშერის ცნობას და უცვლელად იმეორებს მის შეცდომას – შუშანიკის წამებას ბაკურის მეფობით (557-570) ათარიღებს.

უკანასკნელად უნდა დავიმოწმოთ იოანე ბაგრატიონის (1768-1830) კომპილაციური ნაშრომი. „ქართლის ცხოვრება“, რომელიც „კალმასობაშია“ ჩართული. მასში ცალკე თავადაა გამოყოფილი ბაკურის მეფობა, საგანგებოდაა მოხსენიებული შუშანიკის წამება. ი. ბაგრატიონი მოგვითხრობს: „აღვიდა რა ტახტსა ზედა მეფე ბაკურ, ამას მორჩილებდენ ამერ-იმერნი და ესე იყო ფრიად მორწმუნე, მოწყალე და აღმაშენებელი ეკლესიებთა... შედგომად რაოდენისამე წლის მეფობისა ამის მოკუდა კათოლიკოზი ევლავიოს და დასო კათოლიკოზად მაკარი, ხოლო დროსა ამისვე მეფობისასა მთავარმან რანისამან ზედწოდებით ვაქსენ განიზრახა ჰაზრი უსჯულო და წარვიდა სპარსთა მეფისა ხოსროი ნუშრევანად წოდებულის, რომელმანცა მიიღო კარგად, ხოლო უკანასკნელ ჰსთხოვა მეფესა მას სპარსთასა დამოყურება, რომელმანცა მოსცა დაე თვისი ცოლად. ხოლო ვაქსენმან უარჰყო ქრისტე და იქმნა ცეცხლისა მოთაყუანე და მსახურ, ხოლო სპარსთა მეფემან კუალად დაუმტკიცა ერისთობა რანისა და უბოძა სხუანიცა ნივთნი, რომლისა გამო უკეთურმან ამან ორნიცა შვილნი თვისნი ჰყუნა ცეცხლისამსახურად მომადლებისათვის სპარსთა მეფისა და ესრეთ წარმოვიდა რანსავე.

წამება წმიდისა რანთა დედოფლის შუშანიკისა

ხოლო ამა ვაქსენსა ჰყუა ცოლი მეფეთა საქართველოთასა მონათესავე, რომელსა ეწოდა სუსანა (ხოლო სომხურად შუშანიკი). მოსრულმან ვაქსენ აიძულა ცოლსა ამას თვისსა დატევებად ქრისტესი და მსახურებად

ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 125-126).

1 შ. მესხია, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, I (1947), გვ. 47.